ო, ალლაჰ! დამიცავი შენი სასჯელისგან იმ დღეს, როდესაც შეკრებ ან აღადგენ შენს მონებს

ჰუზაიფა იბნ ალ-იამაანი გადმოსცემს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): «ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როდესაც დაძინებას აპირებდა, თავის ხელს თავქვეშ იდებდა და შემდეგ ამბობდა: «ო, ალლაჰ! დამიცავი შენი სასჯელისგან იმ დღეს, როდესაც შეკრებ ან აღადგენ შენს მონებს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), როდესაც ძილისთვის დაწვებოდა, თავის მარჯვენა ხელს ბალიშივით იყენებდა და თავის მარჯვენა ლოყას მასზე დებდა, შემდეგ ამბობდა: «ო, ალლაჰ», ჩემო ღმერთო დამიცავი – «შენი სასჯელისა» და დასჯისგან «იმ დღეს, როცა შეკრებ ან აღადგენ შენს მონებს» საბოლოო ანგარიშისთვის, აღდგომის დღეს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/6167